

დავით ბოლქვაძე

ამოვიცნოთ განსაკუთრებული უნარები

როგორ ფიქრობთ, ყოველთვის ვამჩნევთ მოსწავლეთა განსაკუთრებულ უნარებსა და დიდ პოტენციალს? განათლების ექსპერტები თავიანთ მოსაზრებებს გვიზიარებენ და გვირჩევენ, უბრალო პრეზენტაციის იქითაც გავიხედოთ.

სწავლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ნიჭიერი და განსაკუთრებული ტალანტის მქონე მოსწავლეების ამოცნობაა. ეს პროცესი არ უნდა შეწყდეს, რადგან მას სწავლების მაღალ ხარისხსა და კარგ შედეგებთან მივყავართ.

განსაკუთრებული უნარის აღმოჩენა ყველაზე უკეთესად მოსწავლეთა ნამუშევრების ხარისხით, ასევე - მოსწავლეთა მიერ დასმული კითხვებითა და მასწავლებელთა შეკითხვებზე გაცემული მათი ორიგინალური პასუხებით არის შესაძლებელი. მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასების დროს მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რომელ უნარებს ფლობენ მოსწავლეები, რა დონეზე აქვთ ისინი განვითარებული და როგორ შეიძლება ამ უნარების პოტენციალის გაძლიერება.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მასწავლებელს თუმცაღა სჭირდება ქულებით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმი, მაგრამ არის შემთხვევები, როცა მოსწავლეთა ნამუშევრებში სრულიად მოულოდნელ იდეებს წავაწყდებით ხოლმე. ისინი გამოთქვამენ საოცარ მოსაზრებებს, სვამენ გონებამახვილურ შეკითხვებს, საკუთარ თავს უსახავენ ორიგინალურ დავალებებს, აკეთებენ უცნაურ შეფასებებს, იძლევიან უნიკალურ პასუხებს. ზოგჯერ ისინი ქმნიან ისეთ რამეს, რაც ჩვენ არ გვითხოვია და არც იყო ჩვენი კონცეფციის საზღვრებში.

მასწავლებლებმა ყურადღება უნდა დაუთმონ კიდევ ერთ გამოწვევას - ეს პრეზენტაციის უნართან გახლავთ დაკავშირებული. არიან მოსწავლეები, რომლებიც ვერ წერენ სუფთად, უჭირთ გამართული მეტყველება, წერის დროს მოსდით გრამატიკული შეცდომები. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მათ ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრაში, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, ასეთ პირობებშიც ამოვიცნოთ მოსწავლის ტალანტი, რომელიც ცუდი პრეზენტაციის გამო შესაძლოა ბუნდოვანი ჩანდეს.

კითხვები და პასუხები

ზოგჯერ მოსწავლეთა მიერ დასმული შეკითხვები უფრო კარგად ახასიათებენ მათ, ვიდრე მასწავლებლების შეკითხვებზე გაცემული მათი პასუხები. რამდენიმე მათგანს აქვე შემოგთავაზებთ. ასეთი შეკითხვები რომ წარმოიშვას, სათანადო დრო და

სიტუაციაა საჭირო, რომლებიც მოსწავლეებს მასწავლებლებმა უნდა შეუქმნან. მასწავლებელი მოხერხებულად უნდა გაჰყვეს მოსწავლის აზროვნებას, შეუქმნას მას პირობა ახალი კითხვებისა და იდეების წარმოშობისთვის და არა მათი გაფანტვისთვის და შემდეგ თავი არ იმართლოს, რომ დამაბული კურიკულუმის გამო ვერ იცლის. "მეირფასი აზრების" ჩაწერა და მოგვიანებით მათი განხილვა შესანიშნავი სტრატეგია გახლავთ.

გონებამახვილური კითხვები

თუ სამყარო ღმერთმა შექმნა, რატომ არიან ადამიანები ასე საშინლები? (8 წლის)

როგორ ახერხებს ბუზი დაჯდომას? (3,5 წლის)

როგორ უნდა მიხვდე, რომ იცი? (10 წლის)



რატომ აქვთ დრუბლებს ნაპირები? (14 წლის)

არა მგონია, ჩვენ ჰომო საპიენსები ვიყოთ, რადგან დაუფიქრებლად ვიქცევით - შეხედეთ, რას ვუშვებით სამყაროს! (11 წლის)

როგორ ხდება, რომ წითელი ძროხები მწვანე ბალახს ჭამენ და თეთრ რძეს იძლევიან? (8 წლის)

გონებამახვილური ნამუშევრები

დინოზავრი

მოსწავლეებს სთხოვეს დაეხატათ, როგორ შეიძლებოდა დინოზავრის კბილების გახეხვა. ერთმა 6 წლის მოსწავლემ საკითხი ასე გადაწყვიტა : ერთი კაცი აბვრეს დინოზავრის ზურგზე, მივიდეს თავთან და პირთან საჭმელი მიუტანოს, რომ მან პირი გააღოს; მეორე სახლის სახურავზე ავიდეს და იქიდან გამოუხეხოს კბილები, მესამემ კი დინოზავრს ფეხებთან წებო დაუსხას, რომ იგი წყნარად იდგეს. მან ნილაბი უნდა გაიკეთოს, რადგან წებო მავნებელია.

ეს "რეცეპტი" კი 13 წლის გოგონამ დაწერა, როცა მას კონფლიქტების თემაზე აზრის გამოთქმა სთხოვეს:

კონფლიქტი

ინგრედიენტები

5 კგ სიძუნწე

2 კგ შური

1 დიდი კონა ბრაზი

1 ჩაის კოვზი ეგოიზმი

5 კგ უნდობლობა

7 კგ ძალადობა

3 დიდი კოვზი გაუგებრობა

მომზადების წესი:

შეურიეთ ერთმანეთს სიმუნწე და შური, ადუღეთ მასა ერთი საათის განმავლობაში. შეურიეთ მასში ბრაზი. შესასქელებლად მიღებულ მასას დაუმტეთ მრისხანება. ნარევს მოაყარეთ უნდობლობა და საფუძვლიანად აურიეთ. დაუმატეთ ძალადობა. აიღეთ მსოფლიო ლიდერი და გაათავისუფლეთ მისი გონება მშვიდობიანი ფიქრებისაგან. მიღებული მასის ნახევარი მოათავსეთ ლიდერის გონებაში და დააბრუნეთ იგი თავის ადგილას, მასის მეორე ნახევარი კი გაფანტეთ მთელ მსოფლიოში. როცა ყველაფერს მორჩები, არ დაგავიწყდეს დროულად გვერდზე გადგომა, რომ თვითონ არ გახდე შენივე ნამოქმედარის მსხვერპლი. როცა ყველაფერს მორჩები, დაინახავ რომ სამზარეულოს დასუფთავება შეუძლებელია. გამოყენებული ინგრედიენტები დააბინძურებს მთელ სამზარეულოს. დატკბი შენი ნამოქმედარით, იმ ტკივილით და ტანჯვით, რასაც სხვებს მიაყენებ და გახსოვდეს დევიზი: "ჯერ იმოქმედე, მერე იფიქრე".

ბოლოს კი გავეცნოთ 5,5 წლის "მწერლის" შესანიშნავ ნამუშევარს. ყურადღება მიაქციეთ მის დასასრულს.

კოსმოსში

მე კოსმოსურ კაფსულაში ვარ და ვეშვები პლანეტაზე, რომელზეც უამრავი კრატერია და ძალიან ცივა. მე შემიძლია, ძალიან მაღლა ავხტე. აქ სასაცილო პატარა ცხოველები არიან. ჩემ გარდა აქ არავინ არის. მე პატარა მოტო მყავს და კოსმოსში დავდივარ. აქ პატარა ყვითელი ყვავილები ვიპოვე სასაცილო იასამნისფერი წვეტებით და ვარდისფერი ფურცლებით. ბოლოს ძალიან მოვიწყინე და შინ დავბრუნდი.